ბიულეტენი

აჭარაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№5 (47) მაისი 2011 წელი



ლიდსი შიო მღვიმელი

ჩეხეთის კონსერვატორია და საქართველო

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის)
ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ჩეხეთის კონსერვატორია და საქართველო

ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ უძველეს მუსიკალურ ცენტრს — პრაღის კონსერვატორიას დაარსებიდან 200 წელი შეუსრულდა. ეს საზეიმო თარიღი ფართოდ აღინიშნა ჩეხეთში, და არა მარტო ჩეხეთში, რადგან ამ უმაღლესმა მუსიკალურმა სასწავლებელმა თავისი მოღვაწეობით უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მთელი ევროპის კულტურულ ცხოვრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ პრაღის კონსერვატორიის იუბილეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გამოეხმაურა.

2011 წლის 27 მაისს სამინისტროს დარბაზში თავი მოიყარეს ჩეხური კულტურის თაყვანისმცემლებმა. საღამო გახსნა საქართველოს კულტურის სამინისტროს მედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა თამარ ჩიხლაძემ. სიტყვები წარმოთქვეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, თბილისში ჩეხეთის სათვისტომო „ზლატა პრაღას“ ხელმძღვანელმა ჰაროლდ შმალცელმა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ. ამ უკანასკნელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენლები 1808 წლის 25 აპრილს პრესაში გამოვიდნენ განცხადებით მუსიკალურ-ინსტრუმენტული კადრების აღზრდის მიზნით სასწავლო დაწესებულების შექმნის აუცილებლობის თაობაზე. ორი წლის შემდეგ შეიქმნა ჩეხეთის მუსიკის დახმარების საზოგადოება, ხოლო 1811 წლის აპრილში ფუნქციონირება დაიწყო ჩეხეთის კონსერვატორიამ, მსგავსად პარიზისა და მილანის კონსერვატორიებისა. მალე გაიხსნა ვოკალური, ხოლო მე-19 საუკუნის II ნახევრიდან საფორტეპიანო, სადირიჟორო და საკომპოზიტორო განყოფილებები. გარკვეულ პერიოდში კონსერვატორიის დირექტორი იყო ანტონინ დვორჟაკი. სწორედ ამ დროს სასწავლებელმა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. 1885 წელს, როდესაც ჩეხეთის ეროვნული ოპერა დაარსდა, ჩეხებს უკვე ჰქონდათ ეროვნული შემოქმედება, რომლის სცენური განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელთა გარეშე. საკმარისია პრაღის კონსერვატორიის რამდენიმე კურსდამთავრებულის დასახელებაც, ამ შესანიშნავი სასწავლო დაწესებულების დონე რომ წარმოვიდგინოთ. ესენია კარელ ანჩერლი, იან გრჟიმალა, იან კუბელიკი, ფრანც ლეგარი, ბოგუსლავ მარტინუ, ვიტეზლავ ნოვაკი, იოზეფ სუკი... მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სახელი იოსებ ნავრატილისა, რატილის, როგორც მას სიყვარულით უწოდებდნენ საქართველოში. ეს ადამიანი შევიდა ქართული მუსიკის ისტორიაში, როგორც ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებული ხალხური გუნდის ხელმძღვანელი. რატილი თბილისში ჩამოვიდა 1880 წელს და დაიწყო მუშაობა საოპერო თეატრში სოლისტ-მომღერლად. ამავე სცენაზე ჰქონდა დებიუტი მომავალში სახელგანთქმულ ჩეხ მომღერალ ტერეზია შტოლცევას, მოგვიანებით აქ სოპრანოს წამყვან პარტიებს მღეროდა ჰერტრუდა შმალცელი — წლების მანძილზე ქართული საოპერო თეატრის მშვენება. ლადო აღნიაშვილის გუნდს რატილი ხელმძღვანელობდა 1885 წლიდან. ამ გუნდის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ აქ მოღვაწეობდნენ ქართული მუსიკის ისეთი მოამაგენი, როგორებიც არიან ზაქარია ფალიაშვილი, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი. გუნდის კონცერტები პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, როგორც ხელოვნების საგანს და ხელს უწყობდა მათ შესწავლას. ასე დაუკავშირდა ჩეხეთის კონსერვატორია ქართულ კულტურას.“

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი თამარ მიდელაშვილის, შოთა გოგაძის, ირაკლი ჯიბუხაიას, სოფიო კოჭლამაზიშვილის, თამარ საკანდელიძის, საბინა სიმონიას, ნათია ჯანიკაშვილის, რობერტ მერაბოვის, თემურ ჯაიანის მონაწილეობით.

უფალთან მიახლოების ბედნიერება

მახათას მთა – ულამაზესი ხედით ქალაქზე და უფრო მშვენიერი და ამაღლებული მისიით – აქ აღიმართება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი. ხავერდოვანი მწვანით დაფარული ველი და წარწერიანი ქვების გროვა – ტაძრის საძირკვლისათვის. ყველა ქართველს, დიდსა თუ პატარას, უწმიდესის მოწოდებით თავისი წვლილი შეაქვს უდიდეს ქართულ საქმეში, საშვილიშვილო საქმეში, რომელიც ერის გამთლიანებისა და „ერთ სულ და ერთ ხორც“ შეკვრის წინაპირობაა. ამ მთას და აქ არსებულ უკვე მოქმედ ტაძარს მლოცველი არ აკლია – ამაზე მეტყველებს თბილისიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთა სიმრავლე.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს უკვე რამდენიმე წელია აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები მოსალოცად დაჰყავს სხვადასხვა ტაძარში. ამჯერად ეს ბედნიერება რუსთავში განსახლებულ დევნილ ახალგაზრდებს ხვდათ წილად. 24 ბავშვი დევნილთა კომპაქტური ჩასახლებიდან აღფრთოვანებული ელოდა ამ დღეს. ისინი ჯერ მახათას მთაზე ავიყვანეთ, სადაც ილოცეს ეკლესიაში, ვუამბეთ ივერიის ყოვლადწმიდა ღვთის-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

უფალთან მიახლოების ბედნიერება

მშობლის ხატის ისტორია. ბოლოს იმ ველზე, სადაც ტაძარი უნდა აღიმართოს, თავადაც დააწერეს სახელები ქვებს და საძირკვლისათვის

გამზადებულ მასალას მიუმატეს. აქვე შევხვდით ქალბატონ გულნარა კუკულაძეს, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჩვენება ჰქონდა მომავალ ტაძართან დაკავშირებით. მან ბავშვებს საინტერესოდ უამბო ეს ისტორია.

მახათას შემდეგ მოზარდები დასანაყრებლად გაეშურნენ კაფე „X-Mix"-ში, სადაც მათთვის უკვე გამზადებული ჰქონდათ ცხელ–ცხელი ხაჭაპურები და წვენი, ნაყინიც დააგემოვნეს. მცირე შესვენების შემდეგ ჯგუფი ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრისაკენ გაეშურა, სადაც დეკანოზმა ბიძინა გუნიამ დალოცა ისინი. მოძღვარი პატარებს თბილად ესაუბრა და კურთხევა მისცა: ზაფხულში ვაჟა–ფშაველას თითო ლექსი და მათი მფარველი წმიდანის ტროპარი უნდა ისწავლონ. ბავშვებმა აღსარება ჩააბარეს მოძღვარს. მამა ბიძინამ ზეთი სცხო მათ, ჯვრები უკურთხა და თითოეულს ზეციურ ცეცხლზე ანთებული სანთელი უსახსოვრა.

მოზარდები აღფრთოვანებულნი დარჩნენ მოძღვართან შეხვედრით, ძალიან მოეწონათ ტაძარი (უმრავლესობა პირველად იყო არა მარტო ტაძარში, თბილისშიც), ასევე ვარდების ბაღი და გედები. უამრავი ფოტოც გადაიღეს.

შემდეგი მოსალოცი ადგილი სიონის ტაძარი გახლდათ. აქაც მოწიწებით მიეახლნენ ხატებს, დაანთეს სანთლები. ბოლოს შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ რუსთავში:

ანი გუგეშაშვილი, 13 წლის: – ძალიან მომეწონა ჩვენი მოგზაურობა, შესანიშნავი ეკლესიები მოვილოცეთ და ბევრი ისეთი რამ გავიგეთ, რაც დღემდე არ ვიცოდით. კარგი წინამძღოლები გვყავდა. საინტერესო იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები კიდევ ჩატარდება. დიდი მადლობა ორგანიზატორებს.

ნინო კორძაია, 13 წლის: – მოუთმენლად ველოდებოდით მე და ჩემი თანატოლები კვირა დღეს, როცა მოლოცვითი მოგზაურობით უნდა წავსულიყავით თბილისში, მახათას მთაზე. ვნახეთ ადგილები, სადაც უნდა აშენდეს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა და წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრები. საინტერესოდ გვიამბეს ხატის ისტორია. სამების ტაძარში ძალიან თბილად შეგვხვდა მამა ბიძინა, რომელმაც ბევრი კარგი რჩევა–დარიგება მოგვცა, ჯვრები გვიკურთხა, ზეთი გვაცხო. როგორ მინდა, ჩემი მოძღვარი იყოს, მაგრამ რუსთავიდან სიარული გამიჭირდება. მადლობა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, რომელმაც ასეთი საინტერესო და ლამაზი დღე გვაჩუქა.

ანი გერგედავა, 12 წლის: – ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. გავიგე კიდევ უფრო ბევრი რამ ჩემი ქვეყნის წმინდა ადგილების შესახებ. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ იზას და ქალბატონ ციცინოს თავაზიანობისა და იმისათვის, რომ კარგი გიდობა გაგვიწიეს. ასევე იმათ, ვინც იზრუნა, რომ დევნილი ბავშვებისათვის კიდევ ერთი ლამაზი დღე ეჩუქებინა.

რუსთავში განსახლებული ბავშვების შეკრებას ორგანიზება გაუწია იზა გუჯეჯიანმა.

თანადგომა

ქ. რუსთავში, მე-11 მიკრორაიონში მდებარე ახლადგარემონტებულ შენობაში, რომელიც სამშობიარო სახლისათვის იყო განკუთვნილი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეასახლა ადრე სასტუმრო „რუსთავში" მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ახალმოსახლეობა მიულოცა მათ და დევნილ ბავშვებს საჩუქრები — სათამაშოები და ტკბილეული დაურიგა.

ჩვენებურები

„იმ ქალაქში არ ქროდნენ გაბრაზებული ქარები...“

იმ ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობდა, ერთმანეთის ჭირი ტკიოდა და სიხარული უხაროდა. იმ ქალაქში ზეცა იყო ზღვისფერი და ზღვა – ცისფერი. იმ ქალაქში.... ბევრი რამ იყო იმ ქალაქში, დღეს რომ მონატრებად ქცეულა და კარგა ხანია, მხოლოდ სიზმრებში თუ ეცხადება მის მკვიდრთ. იმ ქალაქში განცდილი დიდ, დაუსრულებელ ტკივილად ქცეულა ახალგაზრდა პოეტ **რობერტ მესხისათვის**. იგი სწორედ იქ, აფხაზეთში, სოხუმში დაიბადა, იქვე დაამთავრა სკოლა, თუმცა, მერე აირია ყველაფერი.

„როცა აღმოვაჩინე, რომ სახლი არ მქონდა,
ობოლი ბავშვივით დავიბენიო“, –

ამბობს პოეტი ერთ–ერთ ლექსში და ეს დაბნევა მარტო უსახლკარობით არ არის გამოწვეული, აქ სახლი უფრო მეტია, ვიდრე თავშესაფარი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს საკუთარი თავის დაკარგვის შიშია, ფესვებმოჭრილი ხის ტკივილია, ნაპირზე ამოგდებული თევზის განცდაა, რომელიც ეძებს და გამოსავალს ვერ პოულობს. მაგრამ ცხოვრება საკუთარი გზით მიდის და თავის კალაპოტში გაქცევს, მოგწონს ეს შენ თუ – არა. წლები გადიან. ასაკი გემატება და მასთან ერთად – გამოცდილებაც. სხვა თვალით აფასებ მოვლენებს და შენც საერთო ფერხულში ებმები.

„გზა გოლგოთის ხვეულია,
ერუ–მუნჯია ბედისწერა,
ყველას როდი შეუძლია
ხატთან პირჯვრის გადაწერა“.

წერდა ახალგაზრდა პოეტი ჯერ კიდევ პირველ კრებულში შესულ ლექსში „ასე ხდება“.

უკვე დევნილმა, 1996 წელს დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1997–2000 წლებში მუშაობდა გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“, 2000 წლიდან დღემდე კი საქმიანობას განაგრძობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაზეთ „სოხუმის უნივერსიტეტის“ რედაქტორია. არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი.

რობერტ მესხმა ლექსების წერა ადრე დაიწყო, ლიტერატურულ პრესაში ჯერ კიდევ ომამდე, 1989 წლიდან იბეჭდებოდა. 2001 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული „აპრილი უშენოდ“ (რედაქტორი ოთარ მიქაძე), 2004 წელს – „წაშლილი ბაიათი“ (რედაქტორი ვახტანგ ღლონტი), 2008 წელს – „ნიჟარები“ (რედაქტორი მარინე ტურავა). მისი ლექსები შესულია სხვადასხვა კრებულში. მონაწილე და ნომინანტია ლიტერატურული კონკურსებისა „შოთაობა“, „წერო“ და სხვ.

სოხუმი, მშობლიური ქალაქი მირაჟივით თან სდევს ახალგაზრდა პოეტს. მას ამ ქალაქის წვიმაც ენატრება, ზღვაც და ღამეც:

„იმ ქალაქში არ ქროდნენ
გაბრაზებული ქარები,
ჰორიზონტს მიყრდნობილი გემები
ვეშაპებს ბაძავდნენ და
კარკასებზე ლუზების რაკუნით საუბრობდნენ.
იმ ქალაქში არ იყვნენ ღამურები,
ამიტომ რომანტიკული წყვილები
თამამად ადიოდნენ სახურავზე
და შეჰყურებდნენ ღამის ცას,
რომელიც ყოველთვის იძლეოდა
უეცარი წაბორძიკების,
სუნთქვის შეკვრის,

მცივას და რა ლამაზიას თქმის საბაბს,
და ცრიდა...
ამ ცას სიგიჟემდე უყვარდა წვიმა,
ჯამბაზივით მიმოდიოდა წვიმის თოკებზე
და ცისარტყელას რგოლებს ატრიალებდა.“

(„ნიჟარები“)

თუმცა, მარტო წარსულზე ფიქრი არ შეიძლება და ეს კარგად იცის რობერტ მესხმა. არც მარტო აფხაზეთია სამშობლო და, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, მას ყველა ის სატკივარი აწუხებს, რაც სრულიად საქართველოს:

„ჩემო ენგურო და, ჩემო რიონო და,
ჩემო არაგვო და ყველავ,
ჩემო ბაგრატო და, ჩემო სიონო და,
ჩემო იმედო და შველავ...
მთაო, მყინვარწვერო, ცასთან შერკინებავ,
ზღვაო, შემოჭრილო კალთად, –
არც რა მტკიოდა და არც რა მეტკინება
თქვენი სატკივარის გარდა.“

ვუსურვებთ ახალგაზრდა პოეტს, მალე დაამებულიყოს მისი და ყველა ჩვენგანის სატკივარი...

„პირველად იყო სიტყვა...“

*„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე*

ვაჟა-ფშაველა

გაზაფხულს ია ამოდის

(სიმღერა)

გაზაფხულს ია ამოდის,
სთველში ირემი ყვირისო, —
ე ჩემი გული ტიალი
ისევ და ისევ სტირისო.

ღამით მინახავს მთის პირად
ბუ გულსაკლავად კიოდეს;
ნეტავ, თუ კიდევ სხვასაცა
ჩემებრივ გული სტკიოდეს?!

მითამ სუყველას ბოლო აქვს,
ზღვანიც-კი დაშრებიანო;
მაშინ ჩემის გულის დამჭრელნი
რატომ არ გასწყდებიანო?!

ღირსი შიო მღვიმელი (VI)
9 (22) მაისი, ყოველთვის ხოლმეშაბათი

ღირსი შიო მღვიმელი, ცამეტ ასურელ მამათაგანი, ანტიოქიელი იყო. მისმა მშობლებმა, ღვთისმოსავმა აზნაურებმა, მშვენიერი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. თავმდაბალ, კეთილსა და ღვთისმოყვარე შიოს განსაკუთრებით უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა. ოცი წლის შიომ გაიგო დიდი მოღვაწის იოანეს (ხსენება 7 მაისს) ამბავი, რომელიც თავის მოწაფეებთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მშობლებისგან ფარულად წავიდა მის სანახავად. წმიდა იოანემ, რომელიც წინასწარჭვრეტის მადლით იყო დაჯილდოებული, სიხარულით მიიღო შიო, აკურთხა, თავის მოწაფეებს უთხრა: „იყოს ჭაბუკი ესე შვილი ღმრთისა და მამა მრავალთა მონაზონთა, რამეთუ ღმერთსა გამოურჩევიეს“, შიოს კი აღუთქვა მოწაფეთა შორის ჩარიცხვა იმ პირობით, რომ შინ დაბრუნებულს მშობლებისაგან ნებართვა აეღო.

გავიდა ხანი. შიოს მშობლები მონასტერში წავიდნენ სამოღვაწეოდ. შიომ გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მონა და მამა იოანესთან წავიდა. ღირსმა იოანემ სიხარულით მიიღო შიო, ბერად აღკვეცა და უდაბნოში დარჩენის ნება დართო.

ოცი წელი დაჰყო ღირსმა შიომ უდაბნოში მამა იოანესთან. უანგარო მოღვაწეობისა და მორჩილებისათვის მან კურნების ნიჭი მიიღო.

შემდეგ ღირსმა იოანემ იხილა ზეგარდამო ჩვენება, ამოერჩია მოწაფეები და ივერიაში წასულიყო ქართველთა სარწმუნოების განსამტკიცებლად. იმ თორმეტ თანამოსაგრეს შორის, რომელიც თან გაიყოლა წმიდა მამამ, შიოც იყო. საქართველოში ჩამოსული მამები ზედაზნის მთაზე დაბინავდნენ, შემდეგ კი, კათოლიკოს ევლავიოსის კურთხევით და მამა იოანეს რჩევით, სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ საქადაგებლად.

დაყუდებისმოყვარე შიომ თავისი სულიერი მამისაგან უდაბნოში წასვლის ნებართვა ითხოვა. მცხეთის მახლობლად, სარკინეთის კლდეში იპოვა მღვიმე, და დაიწყო მოღვაწეობა. ის ადგილი იმ დროს მიუვალი, უწყლო, მხეცებით სავსე იყო. მრავალი ნაკლულევანება და შიში გამოცადა აქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი დაითმინა და ყველანაირ საცდურს სძლია. ღირს მამას წმიდა ელია თეზბიტელის (ხსენება 20 ივლისს) მსგავსად ფრინველი უზიდავდა საზრდელს.

ერთხელ, მთელი ღამის მხურვალე ლოცვის შემდეგ, განთიადისას, მთელ ხევს საკვირველი ნათელი მოეფინა და წმიდა შიოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ერთად. ყოვლადწმიდა ქალწულმა განსაცდელთა შინა გაძლიერება აღუთქვა წმიდა ბერს და საზრდოდ თოვლის მსგავსი რამ მისცა. შემდგომ ამისა ღირსი შიო მეტი გულმოდგინებით მოღვაწეობდა იმ ხევში მარტოდმარტო. ერთხელ სარკინეთის მთებში სანადიროდ წავიდა ფარსმან მეფის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი ევაგრე (ხსენება 4 თებერვალს), აქ მან ღირსი მამა გაიცნო და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ.

გამოჩენილი სპასპეტის უდაბნოში წასვლა მალე მთელმა ქვეყანამ გაიგო. ღირს შიოსთან და ევაგრესთან მრავალი მლოცველი მოდიოდა. ბევრმა მათგანმა ღირს ევაგრეს მიბაძა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა. ერთხელ ღირსი შიო ლოცვად დადგა და ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის ეკლესიის ასაშენებელი ადგილი. წმიდანმა საცეცხლურის ნაცვლად ხელის გულით აკმია საკმეველი. ცეცხლმა ხელი არ დასწვა. წმიდანი საკმევლის კვალს გაჰყვა და იქ, სადაც კვამლმა პირდაპირ ცისკენ აიწია, თავისი კვერთხით ეკლესიის ადგილი დასახა. ასე მიანიშნა უფალმა წმიდა შიოს, თუ სად უნდა აეშენებინა ტაძარი.

როცა ფარსმან მეფემ ევაგრეს ბერად შედგომა გაიგო, ძლიერ ეწყინა და თვითონ წაბრძანდა შიოს უდაბნოში. მეფემ ისეთი საკვირველი მადლი იხილა წმიდა შიოს სახეზე, რომ გვირგვინი მოიხადა და მის წინაშე დაიჩოქა. მამა შიომ მოწიწებით აკურთხა მეფე, წამოაყენა და თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თაყვანი სცეს მამა შიოს და მისგან კურთხევა მიიღეს. მათ შორის იყო ერთი დიდებული, რომელსაც მარჯვენა თვალი ისრისაგან ჰქონდა დაზიანებული. მან მუხლი მოიყარა შიოს წინ, შეახო თვალი მის ფეხს და განიკურნა. ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდა უდაბნოსთვის. წმიდა შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ“. მეფემ უდაბნოში ეკლესიის ასაშენებლად დიდძალი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული (ხსენება 30 ნოემბერს) სახარება შესწირა.

როცა ეკლესიის მშენებლობა დაასრულეს, ფარსმან მეფე უდაბნოში კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებთან ერთად ჩაბრძანდა. მოვიდა თვით წმიდა იოანე ზედაზნელიც და ახლად აგებული ტაძარი აკურთეს. შემდგომ ამისა მეუდაბნოე ძმათა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. უდაბნოში სასწაულთმოქმედი განდეგილის სანახავად და მისგან კურთხევისა და კურნების მისაღებად მრავალი ადამიანი მოდიოდა.

წმიდა შიო მრავალ სასწაულს იქმოდა. ერთხელ მონასტრის სახედრებს მგელი შეეჩვია და ბევრი დაგლიჯა. როცა ეს ამბავი წმიდა შიომ გაიგო, ილოცა და უფლისგან ითხოვა, ის მგელი სახედრების მწყემსად ქცეულიყო; ასეც მოხდა — ამის შემდეგ იგი ერთგულად მწყემსავდა სახედრებს. ერთხელ წმიდა იოანე ზედაზნელმა იხმო თავისი მოწაფეები და უბრძანა, ეჩვენებინათ, თუ სულიერების რა საზომს მიაღწიეს. წმიდა შიომ ხელისგულზე დაიდო ნაკვერცხალი და საკმეველი დააყარა. სასწაულის მხილველი ხალხი გაკვირვებული ადიდებდა უფალს.

ბოლოს წმიდა შიომ თავისი სულიერი მამის, იოანე ზედაზნელისა და საქართველოს კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით შეკრიბა მოწაფეები, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამძღვრად ღირსი ევაგრე და მის მიერვე გათხრილ მღვიმეში განმარტოვდა.

ქრისტეს სიყვარულისთვის ცოცხლად დამარხული ღირსი შიო თხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მღვიმეში მარხვითა და ლოცვით. ბოლოს, ღვთისგან სიკვდილის მოახლოების გამოცხადების შემდეგ, მიიღო წმიდა ზიარება, ხელები აღაპყრო და მშვიდად ჩააბარა უფალს სული სიტყვებით: „ჰოი, უფალო! ხელთა შენთა შევევედრებ სულსა ჩემსა“.

სპარსელების ერთ-ერთი შემოსევის დროს შაჰ-აბასის მხედრებმა შიო მღვიმელის წმიდა ძვლები ირანში წაიღეს. იმ წელს სპარსეთში საშინელი ჭირი გაჩნდა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. შეშინებულმა სპარსელებმა წმიდა ნაწილები კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 ივნისი (ოთხშ.)	— წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა;
2 ივნისი (ხუთშ.)	— **ამაღლება;**
	— წმ. ნინოს მშობლების – ღირ. ზაბულონისა და სოსანას ხსენება;
3 ივნისი (პარ.)	— მოც. სწორთა კონსტანტინე მეფისა (337წ.) და ელენე დედოფლის (327წ.) ხსენება;
4 ივნისი (შაბ.)	— მოწ. ვასილისკოს (კომანში წამებულის – 308წ.) ხსენება;
5 ივნისი, აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა;	
	— წმ. მეფის მირიანის და დედოფალ ნანას ხსენება;
6 ივნისი (ორშ.)	— ათონის წმიდა მთაზე გაბრწყინებულ ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილ მამათა ხსენება;
7 ივნისი (სამშ.)	— წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახლ. 850წ.);
9 ივნისი (ხუთშ.)	— ღირ. მამა დავით გარეჯელის ხსენება (მამადავითობა თბილისში);
11 ივნისი, სულის შაბათი (მიცვალებულთა ხსენება);	
12 ივნისი, აღდგომიდან მე-7 კვირა	**—სულთმოფენობა;**
13 ივნისი (ორშ.)	— სამებობა;
	— მოციქულ ერმის (სამოცდაათთაგანის) ხსენება;
14 ივნისი (სამშ.)	— ღირ. შიო ახლის, დავით, გაბრიელ და პავლე გარეჯელთა (1696წ.) ხსენება;
15 ივნისი (ოთხშ.)	— მცხეთის ჯვრის დღესასწაული;
19 ივნისი, სულთმოფენობიდან I, ყოველთა წმიდათა კვირა	
	— პეტრე-პავლობის მარხვის აღება!
20 ივნისი (ორშ.)	— მოწ. თეოდოტე ანკვირელის (303წ.) ხსენება;
	— პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისი!
21 ივნისი (სამშ.)	— მოწ. თევდორე მღვდლის (კველთელის – 1609წ.) ხსენება;
22 ივნისი (ოთხშ.)	— ღირ. იოანე შავთელ — გაენათელის (XIII) ხსენება;
24 ივნისი (პარ.)	— მოც. ბართლომესა და ბარნაბას (I) ხსენება;
25 ივნისი (შაბ.)	— ღირ. იოანე (თორნიკე) მთაწმინდელისა (X) და ღირ. ისიდორე სამთავნელის ხსენება (VI);
26 ივნისი, სულთმოფენობიდან II კვირა	— მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის (XVIII) ხსენება;
27 ივნისი (ორშ.)	— წინასწარმეტყველ ელისეს (Xს. ქრ. წინ) ხსენება;
29 ივნისი (ოთხშ.)	— მოწ. ქაიხოსრო ქართველის ხსენება (1558წ.);
30 ივნისი (ხუთშ.)	— მოწ. შალვა ახალციხელის ხსენება (1227წ.).

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ლიტურგიკული ძეგლების საღვთისმეტყველო მნიშვნელობა

ეკლესიის წიაღში არიან ღმერთშემოსილი მამები, რომელთაც თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, საღვთისმსახურო ძეგლების აღუწყავი სიმდიდრე, დაულევნელი საუნჯე დაგვიტოვეს. ღვთის განგებამ ისათნოვა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ერთ–ერთი თვალსაჩინო — „მუშაკი სიბრძნისა და მგალობლად ღმრთივგაბრძნობილი“, წმიდა გიორგი მთაწმიდელი დაადგინა.

თავისი საქმიანობით გიორგი მთაწმინდელი წარმოჩინდა როგორც XI საუკუნის სწორუპოვარი მოძღვარი და ქართული სიტყვის დიდოსტატი, მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მისმა ნაშრომებმა ფუძემდებლური და კანონიკური მნიშვნელობა შეიძინა ქართულ საღმრთისმსახურო პრაქტიკაში, და დღემდე ამგვარადვე ჰგიეს.

გიორგი მთაწმინდელის ფასდაუდებელი და აღუწყავი ნაშრომებიდან გამოვარჩევდით ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს: დიდ სვინაქსარს, რომელიც წმიდათა მოსახსენებლებსა და განგებას შეიცავს, თვეების მიხედვით გაწყობილ ᲗᲕᲔᲜᲡ, ᲞᲐᲠᲐᲙᲚᲘᲢᲝᲜᲡ, ᲛᲐᲠᲮᲕᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲢᲘᲙᲡ.

ზემოაღნიშნული კრებულები მრავალმხრივ არის ჩვენთვის საინტერესო, მაგრამ ამ ჯერზე ცხონებასთან მიმართებაში, მარიამობის (მიძინების) დღესასწაულსა და საზოგადოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან დაკავშირებულ სადღესასწაულო მსახურებებში მოხმობილ ლიტურგიკული ჰიმნების ᲡᲐᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ მნიშვნელობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

წლიური საღვთისმსახურო ციკლი (წრე), რომელიც მაცხოვრისა და ღვთისმშობლის, ანგელოზთა თუ წმინდანთა უძრავ დღესასწაულებს მოიცავს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულით (ძვ. სტ. 8.09) იწყება და მიძინების (ძვ.სტ. 15.08) მსახურებით სრულდება. აღნიშნული წრე საეკლესიო წელიწადს მიეკუთვნება, რომელიც (ძვ. სტ-ით) პირველი სექტემბრით იწყება და 31 აგვისტოს მსახურებით მთავრდება, რაც ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალთახედვით, ქვეყნიერების შექმნიდან მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს ეთანადება.

მეტი სიცხადისათვის დავძენთ, რომ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ პირობითად სამ პერიოდად იყოფა:

I. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობიდან მაცხოვრის შობამდე, რომელიც ძველი აღთქმის პერიოდს, ანუ დასაბამიდან ღვთის განკაცებამდე

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

დროის ინტერვალს შეესაბამება;

II. მაცხოვრის შობიდან ამაღლების დღესასწაულის (აღდგომიდან მე-40 დღე) წარგზავნამდე, რომელიც მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას ეთანადება;

III. სულთმოფენობიდან (აღდგომიდან 50-ე დღე) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წარგზავნამდე, ანუ მიწიერი, მებრძოლი ეკლესიის დაარსებიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს მოიცავს.

ამრიგად, ლიტურგიკული თვალსაზრისით, საეკლესიო წელიწადი არსობლივადაა დაკავშირებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან.

ათორმეტ დღესასწაულთა შორის **მარიამობა** — ყოვლადწმიდა ღვთისმშობ-ლის მიძინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღესასწაულია. მიძინება, ისევე როგორც ღვთისმშობლის შობა, მსგავსად ღვთის განკაცებისა, ჯვარზე ვნებისა, მკვდრეთით აღდგომისა და სხვათა, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების აუცილებელი შემადგენელია და უშუალო კავშირი აქვს მაცხოვრის გამომხსნელობით ღვაწლთან, როგორც ეს ჰიმნოგრაფისგანაცაა უწყებული:

— *„დღეს უნაყოფო ანნა ჰშობს მშობელსა ღვთისასა, ყოველთაგან ნათესავთა გამორჩეულსა,... რომლისა მიერ ხორცნი შეისხნა მაცხოვარმან,* ***აღსრულებად საღმრთოსა განგებისა****, რომლითა იგი კუალად მეორედ დაგუბადნა ჩუენ“...* (ღვთისმშობლის შობა, უფალო ღაღადვჰყავსა ზედა მე-6 დასდებელი);

—*“განზრახვა პირველ-საუკუნეთა ღვთისა ჩვენისა მოვალს აღსრულებად,“...* („Совет Превечный Превечнаго Бога во исполнение грядет,“... (ტაძრად მიყვანების წინადღესასწაულის საცისკრო კანონთა I გალობის II ტროპარი).

დიდი დღესასწაულების განხილვისას უცილობლად ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

I. **თუ რა მოხდა (მაშინ) ისტორიულად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, და**

II. **რა ხდება ახლა, ჩვენთვის, საღმრთო აღმშენებლობით.**

განვმარტავთ, რომ ყოველივე ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის (განკაცება, ნათლისღება, ჯვარზე ვნება, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება), **ადამიანურ ბუნებას** ეხებოდა — დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას, რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს. ხოლო ყოველივე ის, რაც ახლა ხდება ჩვენთვის, მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით, **პიროვნებას** ეხება და ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული.

ამრიგად, პიროვნული ძალისხმევით, ღვთის ნების გამოძიებით და მისი აღსრულებით, სულიერი ამაღლებით, ყოველი ადამიანის უფალთან „შეერთება“ ხდება, ანუ ხდება მისი **განღმრთობა**. ასეც ვიტყვით: ადამიანი საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობით საღმრთო მადლის თანაზიარი ხდება, იკურთხება და იკურნება, იკურნება მისი გონება, გული და ნება. აღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია, და იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ადამიანს გადარჩენის სურვილი აქვს და ძალას არ იშურებს ამისთვის, როგორც ამას მათე მახარებელი შეგვაგონებს (მთ. 11. 12).

ამგვარად, საუფლო თუ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობით, **საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის** თანამონაწილენი ვხდებით. სახარებისეული სწავლების, ლოცვებისა თუ საგალობლების მოსმენით, მაცხოვარი ცოდვილ ადამიანთა სულებს მარადიული ცხოვრებისაკენ წარმართავს, ცოდვითი ქმედებებისგან განშორების სურვილს გაუჩენს, აღძრავს მათში ღვთიურ ზრახვებს და ეშმაკის მრავალრიცხოვანი ხრიკებით შერყეულ გონებას განამტკიცებს.

სახარებისეულ თხრობასთან შედარებით, უწყება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ, საღმრთისმსახურო ტექსტებში უფრო განვრცობილადაა წარმოჩენილი, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს:

ა) სულიერი მზერა საღმრთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის ზოგიერთი ეპიზოდის ისტორიულ-ლიტურგიკულ თხრობას მიაპყროს, კერძოდ:

— იერუსალიმში მოციქულების სასწაულებრივ შეკრებას;

— მათ ბოლო საუბარს ღვთისმშობელთან;

— ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა და დასაფლავებას;

— დასაფლავების შემდგომ მესამე დღეს მის გამოცხადებას და სხვა...

ბ) გაიაზროს ამ დღესასაწაულის უდიდესი მნიშვნელობა ცხონების გზაზე, და მოზეიმე (ზეციურ) და მებრძოლ (მიწიერ) ეკლესიასთან ერთად მთელი გულით განადიდოს ღვთისმშობელი, რაზეც ჰიმნოგრაფიც მიგვანიშნებს:

—*„განტრის შენ ყოველი თესლები ღვთისმშობელო ქალწულო,... და ნეტარ ვართ ჩვენცა რომელთა მეოხად შენ გვივი, და დღე და ღამე გუფარავ ჩუენ,... ამისთვისცა მთავარანგელოზისა ხმასა გიღაღადებთ, გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთანა“* (მარიამობა, იპაკო);

— *„მოვედით კრებულნო დღესასწაულის მოყვარეთანო, მოვედით და ხორო განვაწყოთ,... ანგელოსნი განაწყობენ გუნდსა მოციქულთა თანა,... მენათესავებრსა თვისებასა ნუ დაივიწყებ დედოფალო, სარწმუნოებით მედღესასწაულეთასა ყოვლადწმიდისა დაძინებისა შენისათა“* (იქვე, ლიტანიასა ზედა დასდებელი, დიდების მუხლი).

ადამიანის სული ეკლესის წიაღში აცნობიერებს წუთისოფლის ამაოებას, სადაც არ არის ჭეშმარიტი სიმშვიდე, ზეციური სიხარულის სისავსე, ბედნიერება, ღვთის წიაღში განსვენება და ნეტარება, არც სრულყოფილება. მაგრამ, მაინც გვეშინია დროებითი (ხორციელი) **სიკვდილისა** და მარადისობასთან შეხვედრისა. ძირითადი მიზეზი კი შემდეგშია: სათანადოდ არ გვიყვარს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. აკი ბრძანებს უფალი:... „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს,... ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს“ (ინ. 14. 23-24).

ამგვარად, ნაცვლად იესო ქრისტესი, დროებითი ცხოვრება, წუთიერი სიამენი შევიყვარეთ, მთელი არსებით ცოდვათა ზღვაში გადავეშვით, გული გავუხსენით მომაკვდინებელ ვნებებს და შედეგად სამართლიანი, მარადიული სასჯელის გვეშინია.

ბრძანებს უფალი: „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, **არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად**“... (ინ. 5. 24).

ამგვარად, უთუოდ უნდა გვახსოვდეს ამასოფლიდან ჩვენი განსვლის (მიძინების) გარდუვალობა და ჟამი, და ღვთისგან ძალა და შემწეობა ვითხოვოთ უხილავ მტრებთან საბრ-

ძოლველად. ყოველი აზრი, ყოველი სურვილი და ქმედება, ზედმიწევნით უნდა გამოვიძიოთ მარადიული ცხოვრების ფონზე, რათა საყოველთაო აღდგომასა და საშინელ სამსჯავროზე ფიქრით, ვნების ალი დავშრიტოთ, განვეშოროთ უჯერო ცხოვრებას და გოლგოთის მძიმე, მაგრამ მაცხოვნებელ გზას შევუდგეთ. აკი შეგვაგონებს უფალი მოციქულის პირით:... „კმა არიან ჩუენდა წარსულნიცა იგი ჟამნი ამის ცხორებისანი, ნებისა მისებრ წარმართთაჲსა აღსრულებად“... (1 პეტრ. 4. 3). სწორედ ამიტომ ჰიმნოგრაფის სიტყვებით ვევედროთ უფალს:

— *„ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ნუ დამაგდებ, და* ***კაცობრივსა განზრახვასა*** *ნუ მიმანდობ, არამედ შენ მეოხ მეყავ და მაცხოვნე მე“).*

სადღესასწაულო მსახურების საკითხავებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ეგებებოდა მიძინებას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. მისთვის ეს იყო მეტად ნანატრი დღე, დღე — უფალთან შეხვედრისა, დღე — ნეტარი განსვენებისა, არამიწიერი, ზეციური, მარადიული სიხარულისა, **დღე — მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა**, სადაც მართალთათვის ყოვლითურთ სავსე, კეთილისგან მოუკლებელი, სრულყოფილი და ნეტარი ცხოვრება სუფევს, რასაც ასე გადმოსცემს ჰიმნოგრაფი:

—... *„იგი წარსრული სავანესა შინა საუკუნესა* ***მხიარულ არს****, და მივალს ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა* ***სიხარულსა*** *და* ***საუკუნესა საშუებელსა****“* (მარიამობა, მც. მწუხრის „უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა“ I დასდებელი);

— *„ძლეულ იქმნეს, ბუნებანი მეტყველნი, შენთვის ქალწულო უბიწოო, ქალწულებრივი შობა, და* ***სიკვდილი*** *ცხოვრების მომცემელი, და შემდგომად შობისა ქალწულად ჰგიე და მოკვდავი,* ***ცხოველხარ*** *ღვთისმშობელო, სამართლად გადიდებთ“* (იქვე, საცისკრო კანონთა მე-9 გალობის I კანონის ძლისპირი).

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, გოლგოთის გზა მიგვაახლებს. გზა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სათნო ცხოვრებისადმი მიბაძვისა, გზა მისდამი დაუშრეტელი ლოცვა-ვედრებისა, გზა სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა: — ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.

ადამიანი მარადიულობისთვისაა შექმნილი, მაგრამ ღვთის ნებისაგან გარდასვლის გამო, დროებით სიკვდილს დაექვემდებარა. სწორედ ამიტომ, თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც გაიარა ცათა სასუფევლისაკენ მიმავალი სიკვდილის „კარიბჭე“, რასაც ასე უგალობს ჰიმნოგრაფი:

— *„ვითარცა ძემან მისმან ჯერიჩინა დადებად ნებსით საფლავსა შინა, ვითარცა მკუდარმან, შემოქმედმან ცათამან, ეგრეთვე დედამან მისმან, მიიღო სასმელი სიკუდილისა“* (იქვე, საცისკრო კანონთა მე-4 გალობის II კანონის ტროპარი).

— *„ბუნებისაგან მოკუდავისა იშევ, რომელმან გვიშევ ჩუენ ცხოვრება, და მოიწია შენდა დღეს, თანამდები ბუნებისა და ცხოვრებად მიგცვალა შენ ძისა შენისა ღვთისმშობელო“* (იქვე, საცისკრო კანონთა მე-3 გალობის II კანონის ტროპარი).

სამოთხეში ცხოვრება მანამ იყო უსაფრთხო, სანამ მას სიკვდილზე ფიქრი იცავდა: — „ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 2. 17). მაგრამ, მტერმა შეძლო და განაშორა ადამისა და ევასაგან სიკვდილის შიში: „და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: არა სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 3. 4), და შედეგად სიკვდილი შევიმოსეთ, რასაც ასე გადმოსცემს ჰიმნოგრაფი:

— *„საღმრთოსა რა და ყოვლადწმიდასა მცნებასა გარდავხედით, მიწად მივიქცევით, ვინა იგი პირველ დავიბადენით, ხოლო შენ მიერ სძალო, ზეცად ავმაღლდით ქუეყანისაგან, და სიკუდილისა ხრწნილებაჲ განვაგდეთ, ამისთვის გნატრით ყოვლადუბიწოო“.*

ამგვარად, შევიცნობთ რა ჩვენი დაცემის სიღრმეს, არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთას, და მორჩილებით და მინდობით მივყვეთ დედა ეკლესიის სწავლებას, შედეგად კი **პიროვნულ ფერისცვალებას** მივეახლოთ, ფერისცვალებას, რომელიც ძირეულად ცვლის ადამიანს გარეგანი კაციდან შინაგანისაკენ, რაზეც ასე შეგვაგონებს ჰიმნოგრაფი:

— *„დღეს ქრისტემან მთასა ზედა თაბორსა,* ***ადამისა შესცვალე დაბნელებული ბუნება****, და ღმერთჰყო განმანათლებელმან მისმან“* (ფერისცვალება, მცირე მწუხრი, სტიქარონსა ზედა I დასდებელი);

— *„მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო, და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი ძალისაებრ მათისა, გამოგვიბრწყინვე ჩუენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღვთისმშობელისათა, ნათლისა მომცემელო უფალო დიდება შენდა“ (იქვე, დღესასწაულის ტროპარი).*

სწორედ ამიტომ, **მიძინების** დღესასწაულს **ფერისცვალების** დღესასწაული უძღვის წინ, რათა თითოეულმა გაიაზროს პიროვნული ფერისცვალების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რის გარეშეც „სიკვდილის კარიბჭის“ გავლა უდიდეს განსაცდელს მოუვლენს მოუმზადებელ ადამიანს, რისთვისაც ჰიმნოგრაფთან ერთად განვადიდებთ უფალს:

— *„... ჰოი ქრისტე ღმერთო ჩვენცა განგვანათლენ ნათლითა შენითა, და დიდებითა პირისა შენისათა, და ღირს-მყუენ ჩუენ შენისა გამოუთქმელისა ბრწყინვალებისა ხილვად მეუფეო, და რათა გადიდებდეთ ზეცისა ძალთა თანა სახიერო“* (იქვე, ლიტანიასა ზედა მე-3 დასდებელი).

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ჯეროვანია ფიქრი სიკვდილზე, როგორც მომავალ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რისთვისაც გულმოდგინე მზადება წინდაწინაა საჭირო, რაც უფლის ძალითა და მადლით, სიხარულითა და იმედით გააცისკროვნებს მორწმუნე ადამიანის გონებას. სიკვდილზე ფიქრი დაგვიცავს ყოველივე უჯეროსაგან, იმავდროულად ყოველივე იმისგანაც, რაც სიკვდილს საზარელს ხდის.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვევლინება **სიკვდილი** ზეცად აღმავალ კიბედ. ამგვარი სიკვდილი მარადიული სიხარულის, ზეციური დიდების და ადამიანის ღმერთთან განუშორებელი ერთობის საწინდარია. და თუ ოდენ წუთისოფლით ტკბობის მიზეზით განვიშორებთ აბეზარ აზრს სიკვდილზე, არათუ მხოლოდ სხეულებრივს, არამედ საშინელ, სულიერ, მარადიულ სიკვდილს მივეახლებით.

მიძინების დღესასწაულის საგალობლებისა და ლოცვების შინაარსიდან გამომდინარე, სიკვდილის წუთებში (წუთისსოფლიდან მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისას) სულიერი მხნეობისა და სიმშვიდის მისაღწევად, ქრისტიანს ამ ქვეყანაზე სამი ძირითადი საშუალება გააჩნია:

1. ეკლესიური ცხოვრება და პირადული ღვაწლი (რომელიც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის);

2. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობა (რაც რწმენასა და ეკლე-

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

სიურ ცხოვრებაზე ბევრად არის დამოკიდებული);

3. ღვთის განუზომელი მოწყალება, რისი იმედიც მუდამჟამ უნდა ჰქონდეს თითოეულ მორწმუნეს, და რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხონება.

ამგვარად, მიძინების დღესასწაულის საკითხავების (საგალობლების) საღვთისმეტყველო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი საცნაურდება, კერძოდ ის, რომ:

1. მორწმუნეებს ასწავლოს **სხეულეგრივი სიკვდილისადმი** ქრისტიანული დამოკიდებულება, და ეკლესიის წიაღში, ამ გარდაუვალი მომენტის სათანადოდ შესახვედრად მოამზადოს ისინი;

2. გააცნობიერებინოს თითოეულ მორწმუნეს ყოვლადწმიდა ღვთისმშოლის განსაკუთრებული როლი **სიკვდილის წუთეგში მისი შემწეობისა**, რისთვისაც ჰიმნოგრაფთან ერთად დაუცხრომლად უნდა განვადიდებდეთ მას:

— *„გიხაროდენ ქალწულო რომელმან ჰშევ ღმერთი ხორცითა, ცხოვრებად ნათესავისა კაცთასა, და ბუნებამან ჩუენმან ჰპოვა შენ მიერი გამოხსნა, მეოხებითა შენითა* ***წარგვიძღუ ჩუენ სამოთხედ****, ღმრთისმშობელო მარადის კურთხეულო“* და სხვა.

დასაწყიში საეკლესიო წელიწადის საკითხს შევეხეთ, აქ კი გვსურს მეტი სიცხადისათვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის **შობისა** (8.09) და **მიძინების** დღესაწაულთა (15.08) შორის არსებული საღვთისმეტყველო კავშირი წარმოვაჩინოთ, რისთვისაც წმ. გრიგოლი პალამას (XIVს.) სწავლებას მოვუხმობთ, რომელიც საუბრობს რა **ღვთისმშობლის შობის** დღესასწაულზე, ასე გვმოძღვრავს:... „ეხლა შემოდგომაა, და უპირატესი ადგილი ამ თვეს (სექტემბერს) განეკუთვნება, რომელიც ჩვენთვის პირველი თვე და წლის დასაწყისია. მიჯნა, სადაც ჩვენი გადარჩენის საქმემ დაიდო სათავე,... ესაა პირველი წმიდა დღესასწაული, რასაც ჩვენი **განახლება** უკავშირდება,... რადგან დღეს განგვეხვნა ახალი სამყარო და მშვენიერი სამოთხე (იშვა ღვთის განცხადების წიაღი – დკ. ბ.გ.), რომელშიც განკაცდა, და რომლისგანაც იშვა ახალი ადამი“... (3. წგ. 3, 14).

ამგვარად, ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, შემოდგომა და მისი პირველი თვე სექტემბერი, რომელიც არის კიდეც საეკლესიო წლის დასაწყისი, იმავდროულად კავშირშია **ჩვენი ხსნის დასაწყისთან** — საღმრთო აღმშენებლობის გზასთან. ასე რომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის **შობა** გახლდათ წინკარი, კარიბჭე, იესო ქრისტეს ხორციელი მოსვლისა. იგი მოასწავებდა ცოდვისა და სიკვდილისაგან დახსნის ჟამის მოახლოებას, რის შესახებაც სწავლება უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში:

— *„დასაბამი ცხოვრებისა ჩვენისა, დღეს იქმნა კრებულნო მორწმუნეთანო, რამეთუ ესე პირველთა ნათესავთაგან განჩინებული დედა და ქალწული, და ტაძარი ღვთისა ბერწთაგან აღმოსცენდა“...* (ღვთისმშობლის შობა, ლიტანიასა ზედა I დასდებელი);

— „დღეს ბერწისა ბჭენი განიხმიან, და ქალწულებისა საღმრთო ბჭე იშუე-ბის, დღეს იწყო დიდებულად აღყვავებად მადლმან, და ღვთისმშობელსა სოფელსა აღმოუბრწყინვებს, რომლისაგან ქვეყანისანი ზეცისათა შეართნეს საკვირუელად“... (იქვე, დიდი მწუხრის უფალო ღაღად-ჰყავსა ზედა მე-4 დასდებელი);

— *„დღეს ხიდი ცხოვრებისა იშუების რომლისა მიერ კაცთა ჰპოვეს აღმოწოდებაი ჯოჯოხეთით“...* (იქვე, საცისკრო კანონთა I გალობის I კანონის ბოლო ტროპარი) და სხვა.

ქვემოთ გულისყურს წმ. გრიგოლი პალამას 37-ე ჰომილიას მივაპყრობთ, სადაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის **მიძინებასთან** დაკავშირებით ვკითხულობთ: ეს უდიდესი მოვლენა გახლდათ... „**დასასრული**, ან თუ უკეთ ვიტყვით, დასაწყისი და ძირი ადრე აღსრულებულ სასწაულთა, იოაკიმესა და ანასადმი მიცემული ღვთის აღთქმის აღსრულება, „... (3. წგ. 2, 112).

იგივე აზრია გამოხატული ჰიმნოგრაფის მიერაც:

— *„უღირდა მხედველთა სიტყვისათა და მსახურთა, რათა იხილონ აღსრულებად რომელი იგი ხორცითა დედა არს მისი, რამეთუ დასასრული საიდუმლოსა მას შინა დადგრომილ არს,“...* (მიძინება, „ლიტანიასა ზედა“ I დასდებელი);

— *„გვაუწყე ჩუენ დავით, რასათვის გეფუცა შენ ღმერთი, ხოლო იგი ღაღადებს, რასათვის იგი მეფუცა აღმისრულა, რამეთუ აჰა ესერა მუცლისა ჩემისაგან მომცა ქალწული, რომლისაგან ახალი ადამ ქრისტე დამბადებელი იშვების ხორციელად“...* (ღვთისმშობლის შობა, დიდი ცისკარი, წარდგომა შემდგომად I ფსალმუნებისა).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეჯამებულად ვიტყვით. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის **შობისა** და **მიძინების** დღესასწაულთა საღმრთისმსახურო ინტერვალით, დედა ეკლესია ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების გზას სახავს, თითოეულის ამ ქვეყანაზე მოვლინებიდან მის აღსრულებამდე, და კაცთათვის არ არის სხვა რამ გზა უფრო წარმატებული უფალთან ერთობისა, თუ არა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული მოკრძალებისა, თაყვანისცემისა და მისდამი დაუცხრომელი ლოცვა-ვედრებისა.

ეკლესიის წიაღში ადამიანი (ნათლისღებით) სულიერად იშვება, ხოლო საიდუმლოთა მღვდელმოქმედებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საეკლესიო წეს-ჩვეულებების აღსრულებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმიდანთა მეოხებით, სულიერად იზრდება, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უნარს იძენს, მუდამ უფლის სიახლოვეს მყოფებოდეს, და ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, იშვება კიდეც **მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის**. ამინ!

და ბოლოს დავძენთ. წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიის ღმრთისმეტყველება (დიდებისმეტყველება), თავისი სულიერი სისავსით, ამქვეყნიურ ვნებათა და განცდათაგან თავისუფლებით, სრულყოფილებისაკენ სწრაფვით, გზას უკვალავს თითოეულ მორწმუნეს ცოდვითდაცემის შედეგად დარღვეული ჰარმონიის აღდგენისაკენ, ქრისტეში ახალი ცხოვრებისაკენ, სასუფევლის დამკვიდრებისაკენ.

ჭეშმარიტად გაუხუნარი განძი დაგვიტოვა წმიდა გიორგი მთაწმინდელმა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების სახით, რომელშიც მოხმობილი თითოეული სიტყვა, ამოკითხული აზრი თუ აღსავლენი ლოცვა, მარადცხოველი ტვიფარია ქართული სასულიერო მწერლობის საგანძურში.

თბილისის წმიდა სამების
საკათედრო ტაძრის
მღვდელმსახური
დეკანოზი
ბიძინა (გუნია)

ყვალთან მიახლოების ბედნიერება



შიომღვიმე

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი